„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე მცხოვრებთათვის. ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible]-სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის სივრცელობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 4 მანათი და 50 კაპ.**

## შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ „წერა-კითხვის საზოგადოების“ საზოგადო კრებამ ერთხმად ამოირჩია საპატიო წევრად თ-დი ნიკოლოზ მეგრელიისა და, საზოგადოების მინდობილობით თავმჯდომარემ შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა პეტერბურგში: „საზოგადო კრება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ ერთხმად მოგიძღვნით თქვენ განუსაზღვრელ მადლობას შემოწირულობისათვის ძვირფასი ბიბლიოთეკისა და გთხოვთ პატივი სცეთ მას და მიიღოთ წოდება ამ საზოგადოების საპატიო წევრისა.

„სიამოვნებით ვასრულებ ამ ჩემთვის საამო საზოგადოების მონდობილობას.“

აი პასუხიც ტელეგრამისა, რომელიც გუშინ-წინ მოუვიდა საზოგადოების თავმჯდომარეს.

„ყოველთვის ჩემი წადილი იყო მენახა ქართველ ხალხში წერისა და კითხვის გავრცელება. რა კი ვხედავ, როგორის ენერგიით ასრულებს საზოგადოება ამ წმიდა დანიშნულებას, მე ბედნიერადა ვთვლი ჩემთვის დღეიდამ ვეკუთვნოდე მას და ვცდილობდე დახმარებას ჩემის ძალ-ღონის შესაფერად. გთხოვთ თქვენ, მრავლად პატივცემულო თავადო, გადასცეთ საზოგადოებას ჩემი უუგულითადესი მადლობა იმ მაღალი პატივისათვის, რომელიც მაკუთვნა მე. თავადი მეგრელიისა.“

⊖⊖⊖ გამოჩენილი ყაჩაღი ქერიმ ისკანდერ-რამაზან-ოღლი ამ დღეებში ყაზახის მაზრის სოფ. ალდამში წასულა და სწვევია ერთს ამ სოფლის შეძლებულ მცხოვრებს და სიკვდილით დამუქრებია, თუ რაც ფული გაქვს არ მომცემო. ეს ბძანება მაშინვე შეესრულებინა ალდამის მცხოვრებს და ქერიმისათვის 4,000 მან., გადაეცა. ქერიმის დაჭერას ად მინისტრაცია გულ-მოდგინედ შეუდგა.

⊖⊖⊖ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წლიურ კრებაზე მაისის 30 წაკითხულ იქმნა წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა. ამ ანგარიშიდან სჩანს რომ წარსულ საანგარიშო 1884 წელში საზოგადოებას ჰყოლია 135 ნამდვილი წევრი, 6 საპატიო წევრი და 9 კორესპონდენტი. საზოგადოებას იმავე წლის განმავლობაში ჰქონია 15 საზოგადო კრება და 14 სხდომა ჰქონია საზოგადოების რჩევას. საზოგადოების კრებათა ჰქონიათ მოლაპარაკება შემდეგი საგნების შესახებ:

1) შესახებ არყის ბაჟისა: საზოგადოებამ შეკრიბა ამ საგნის თაობაზედ სხვა-და-სხვა პირების შემწეობით მრავალნი ცნობანი და წარუდგინა დეპარტამენტს, რომელმაც მხედველობაში მიიღო, როცა ადგენდა ახალ წესებს შესახებ არყის ხდისა,

2) შესახებ ტყეების დაცვისა. საზოგადოებამ წარუდგინა სახელმწიფო ქონებათა მინისტრს თავისი აზრი შესახებ ამ საგნისა. საზოგადოების აზრით ტყეები ორ ნაწილადუნდა გაიყოს: მთის ტყეები სასტიკად დაცული და ხელ შეუხებელი უნდა იყვნენ, რადგანაც ისინი რომ გაიკაფოს, მთები ჩამოილეკებიან და მდინარეებიც თან-და-თან დაშრებიან. ბარის ტყეები კი, თუმცა ამათი სასტიკი დაცვაც სასურველია, რადგანაც იმ ტყეებსაც დიდი გავლენა აქვთ ქვეყნის ჰავაზედ, მაგრამ საზოგადოების აზრით, ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება ჩვენში რომ ხალხს ხელები შევუკრათ და სულ აღარ გავუშვათ ტყეშიო.

3) სამეურნეო სასწავლებელთა დაარსება. საზოგადოებამ წარუდგინა სახელმწიფო ქონებათა მინისტრს თავის აზრი შესახებ ამ საგნისა. საზოგადოების აზრით ამ ჟამად საჭიროა კავკასიაში დაარსდენ სამეურნეო სასწავლებელნი მესამე ხარისხისა; ესენი უნდა შეეფერებოდენ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა იმ ადგილებისა, სადაც დაარსებულ იქმნებიან. საზოგადოება შუამდგომლობდა აგრეთვე მთავრობის წინაშე, რომ თბილისში დაარსდეს მეღვინეობის სკოლა მეორე ხარისხისა და ამასთანავე ღვინის კეთების სტანცია, სადაც უნდა შეისწავლებოდენ თვისებანი ადგილობრივი ღვინოებისა.

## სვანეთის სამთავროს გაუქმება

(შემდეგი *)

ჰასან-ბეის სიკვდილის შემდეგ მიხეილმა დაუწყო შურის ძიება მის შვილს სეიდ-ბეის (დიმიტრის), რომელმაც ცოლად დავით დადიანის და შეირთო. მიხეილმა ამ დანათესავებისთვის უფრო დაუწყო მტრობა და ბოლოს მოსწამლა და ისე მოუღო ბოლო. ამ უბედური მსხვერპლის მდგომარეობა სწორედ საზარელი იყო. დიმიტრიმ ორმოცი წელიწადი ილოცხლა და ამ ხნის განმავლობაში ყოველს წამს მოელოდა მიხეილის ხელით სიკვდილს. რადგანაც დიმიტრი ჩემი კარგი ნაცნობი იყო, ერთხელ სამეგრელოში სტუმრად მეწვია და სხვა ოთახის უქონლობის გამო ჩვენ, ორივენი, ერთს ოთახში დავწექით. დილით ადრე გამომეღვიძა და ვნახე, რომ დიმიტრი სადაც დავაწვინე, იქ აღარ იწვა, დივანზე დაწოლილიყო და დაეძინა. ვკითხე,—რწყილებმა ხომ არ შეგაწუხა-მეთქი?

— არა, მომიგო ღიმილით:—სრულიადაც არა; უნდა გამოგიტყდე, რომ არას დროს იმ ალაგს არ დავიძინებ, სადაც პირველში დავწვები, რაკი ვიცი, რომ არ მოიპოვება ისეთი ადგილი და წამი, რომ მიხეილი თვალს არ მადევნებდეს მოსაკლელად,—შენ ნახავ, რომ იგი თავის წადილს კიდეც შეისრულებს.

იმ დროს, მეგონა, დიმიტრი აზვიადებდა თავის მდგომარეობას, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ-კი დავრწმუნდი,—რამდენადაც იგი მართალს ამბობდა.

თუმცა ასეთი მრისხანე ხასიათისა იყო მიხეილი, მაგრამ უცხოებთან სულ სხვა ნაირად იქცეოდა და მეგობრებთან ლაპარაკის დროს დიდ გონიერებას იჩენდა. მიხეილი დიდს პატივს სცემდა კოლიუბიაკინს უანგარობისათვის და ერთხელ ეამბნა მისთვის მოსკოვში და პეტერბურგში თავის მოგზაურობის ამბავი ამ ნაირად:

— თქვენ იცით, გენერალო, ეთქვა მას:—რომ რუსეთში მხოლოდ ორად ორი კაცი ვნახე, რომელნიც თავის დღეში არ დამავიწყდებიან: იმპერატორი ნიკოლოზი და მიტროპოლიტი ფილარეტი. ხემწიფესთან საუბარმა დიდი გავლენა იქონია ჩემზედ. ვერას დროს ჩემი ოცნება ვერ წარმოიდგენდა იმისთანა დიდებულს კაცს, როგორიც იყო ხემწიფე; როდესაც მისგან წამოველი, ჩემს თავს მასთან შედარებით ჩრჩილის ჭიათა ვთვლიდი. და უფრო ის მაწუხებდა, რომ ჩემსა და მის შორის ბევრი იმისთანა კაცები იყვნენ, რომელთადმი შურის ძიების და ზიზღის მეტს არაფერსა ვგრძნობდი. ამის შემდეგ ისინი უფრო შემეზიზღენ. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ აგრეთვე ფილარეტმაც; მან ისეთი დაშტერება იცოდა, რომ გეგონებოდა შენი სულის საიდუმლოებას კითხულობსო. ამისთანა თვისება მხოლოდ წმინდანს ეკუთვნის. დიაღ, ასეთი კაცები მხოლოდ საუკუნოებით იბადებიან; რუსეთი ბედნიერია, რომ ამისთანა კაცები ჰყავს.

როგორც კოლიუბიაკინმა მითხრა, მიხეილი ყოველსავე ამას გულწრფელად ელაპარაკებოდა და ცხადად სჩანდა, რომ იგი მოკლებული არ იყო უმაღლეს იდეალებს; მას საშინლად სძულდა დავით დადიანი არამც თუ მარტო იმისთვის, რომ მამულებს ედავებოდა, არამედ იმისთვის, რომ იგი რუსეთის მთავრობის ერთგული იყო. ცუდად უყურებდა აგრეთვე დედოფალს ეკატერინესაც, რომელზედაც, თუ არ ზიზღით, ისე ვერ ილაპარაკებდა იმისთვის, რომ ქალები საზოგადოდ ყველანი ეჯავრებოდა.

აი ამისთანა შესანიშნავი ხასიათის კაცებთან მოუხდა ბრძოლა სვანეთის მთავარს დადიშკელიანს, რომელსაც არც სწავლა მიეღო და არც რუსული ლაპარაკი იცოდა ხეირიანად.

ორმოც-და-ათი წლების დასაწყისში მთავრის ძმა, ალექსანდრე, რომელიც კარგად სწავლობდა და ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკის აფიცრად გამოვიდა, მოვიდა სვანეთში და თავის ძმას ეწეოდა საქმეში. რაკი დარწმუნდენ, რომ მეზობლებთან მორიგება საბალახოს შესახებ ყოვლად შეუძლებელი იყო, მათ ორივემ გადასწყვიტეს ეთხოვნათ მთავარ-მმართებლისთვის, რომ სადაო საქმე თვითონ განეხილა და საბოლოვოდ გადაეწყვიტა. მათის თხოვნისამებრ სვანეთში გაიგზავნა საკუთარი კომისია პოლკოვნიკი გრაფი გალატერის თავმჯდომარეობით.

ყოველივე საქმისათვის კომისიების დანიშნვა რუსეთის სენს შეადგენს და ჩვეულებრივ ამ კომისიებს მთავრობისათვის ზარალის მეტი არა მოაქვთრა, რადგანაც ჩინოვნიკებზედ საკმაო ფული იხარჯება. ასეთი იყო გალატერის კომისიაც. თვითონ გრაფი იმისთანა პირთ ეკუთვნოდა, რომელთაც პორტო-ფრანკოს ეძახდენ, რადგანაც ვორონცოვმა იგინი ოდესიდამ მოიყვანა; ამ ხალხისათვის კავკასია სულ ახალი ქვეყანა იყო, მისი საქმეებისა არაფერი გაეგებოდათ და რომ რომელიმე საქმე გაერიგებინათ, ის საქმე დიდხანს უნდა ელექნათ. ორი წლის განმავლობაში მან ძლივს წარუდგინა თავის მოხსენება შტაბის უფროსს კოცებუს; იმანაც კარგა ხანს შეინახა ეს მოხსენება და ბოლოს გადასწყვიტა, რომ სამეგრელოს მთავარს დავითს ფულით უნდა დაეკმაყოფილებინა კონსტანტინე დადიშკელიანი საბალახოსათვის, ფულის რაოდენობა-კი შუა კაცებს უნდა გადაეწყვიტათ. მაშასადამე ეს საქმის გათავება-კი არა, ახალი საქმის დაწყობა იყო, ე. ი. მთავრებს მედიატორები უნდა ამოერჩიათ. როდის ამოირჩევდენ მედიატორებს, ეს მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცოდა, ის კი უფრო ნამდვილი იყო, რომ მედიატორებს დიდხანს არ ამოირჩევდენ იმის გამო, რომ კონსტანტინე დავითს შვიდასს თუმანს ედავებოდა და ეს ფული მაშინდელს კვალობაზედ ცოტა არ იყო.

*) იხილე „დროება“ № 110.

რივი ღვინოებისა და აგრეთვე საშუალებანი მათი გაუმჯობესობისა.

4) საზოგადოება ცდილობდა უკეთეს სამეურნეო იარაღთა გავრცელებას: საზოგადოებამ გამოსცადა ტფილისში სხვა-და-სხვა გუთნები, მტკსონის სალეწი, ბართლეის სანიავებელი და სხვ. ესევე იარაღები საზოგადოებამ გაგზავნა ქ. ეჩმიაძინში გამოსაცდელად.

5) საზოგადოება ცდილობდა აბრეშუმის ჭიის მოვლის გაუმჯობესობას: ამისათვის მან იყიდა თესლი ჭიისა და გაუგზავნა ყიზლარისა და აკულისის მცხოვრებელთ ნახევარ-ფასად. ამავე აზრით საზოგადოებამ იშუამდგომლა მთავრობასთან, რომ მას მოეცა ფული ამ საქმისათვის. მთავრობამაც მისცა საზოგადოებას 4,000 მანათი. ამ ფულით ქ. ზაქათალაში უნდა გაკეთდეს სახლი, სადა აბრეშუმის ჭიის საუკეთესო მოვლა უნდა ასწავლონ ხალხს. საზოგადოებამ აგრეთვე გამოსცა ამ საგანზედ დარიგება სამს ადგილობრივს ენაზედ.

7) საზოგადოება შუამდგომლობდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან, რომ მან გამოიწეროს ჩვენთვის ჩინეთიდან რამდენიმე ჩინელი, რომელთაც კარგა იციოდენ ჩაის მოყვანა; ეგრეთვე გამოიწეროს ყველა საჭირო აპარატები, თესლი ჩაისა და თუ შეიძლება, თითონ ბუჩქებიც. ამ ჩინელებმა უნდა გაავრცელონ ჩვენში ჩაის მოყვანის ცოდნა.

უფროსი ინტენდანტის წინადადებით საზოგადოება ცდილობდა გავრცელებანა ჩვენში გრეჩიხის მოყვანა. ამისათვის საზოგადოებამ დაურიგა ზოგიერთ სოფლის მეურნეებს თესლი და გამოსცა დარიგება ამ მცენარის მოვლის შესახებ.

თამბაქოს მოყვანის გასავრცელებლად საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ მიეცეს ხოლმე ჯილდო იმ პირთ, რომელნიც უკეთეს თამბაქოს მოიყვანენ და დაიბარა საუკეთესო თესლი ამ მცენარისა. შემოსავალი საზოგადოებისა ყოფილა: 7440 მან. მთავრობისაგან შემწეობა, 600 მან., საწევრო ფული—1194 მან. სულ 9234 მან. ხარჯი კი—7831 მან.

⊖⊖⊖ ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი: „სახელმძღვანელო სამღრთო სჯულის სასწავლებლად. შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია.“ ეს წიგნი შედგენილია მღვდელი ნესტორ ყუბანეი-შვილისაგან; გამოცემა ურიგო არ არის ფასი წიგნისა 60 კ.

⊖⊖⊖ გაზეთს „კავკაზს“ აცნობებენ, რომ ქალაქის გამგეობა თურმე ათს შაურს დებულობს ყოველს გადაწერილს თაბახზედ კანცელიარიის სასარგებლოდ და ამ თავის უკანონო მოქმედების გასამართლებლად ხელმძღვანელობს 1868 წლის ცირკულიარით, რომელიც საკუთრივ კავკასიის მომრიგებელ სასამართლოებისათვის არის გამოცემული და ქალაქის გამგეობას არა ვითარი უფლება არა აქვს ამ ცირკულიარით იხელმძღვანელოს. მაშასადამე ქალაქის გამგეობა (იქნება ამაში საბჭოც ერიოს) თავის ნებით ადებს ქალაქის მცხოვრებთ ახალს ხარჯს, რომ რამდენიმე ათასი მანეთი მოაგროვოს...

## „დროების“ კორესპონდენცია.

თელავი. ხუთშაბათს მაისის 23-ს. სადილის შემდეგ მშვენიერი დარია. მზემ ახლად ნაწვიმარზედ უხვად მოჰფინა თავის ცხოველი სხივები. ფოთლებზედ დარჩენილი მარგალიტებივით ცვარი ნელი სიოთი თრთის, თითქოს რაღაცა საშინელებას მოელის... მოსეირნე ხალხით სავსეა ხევნარი და ქუჩები და ხელიდგან-ხელში ჰგლეჯენ ოთხი დღის ლოდინის შემდეგ ჟურნალ გაზეთებს (ფოსტა კვირა-ხუთშაბათობით მოდის) და ეწაფებიან ახალ ამბებს. სწორედ ამ დროს საღამოს ექვსს საათზედ ზარივით გავარდა ხმა მთელს თელავში რომ თ. დ. ჯორჯაძის ცოლი ჭკუაზედ შემცდარა და მაზრის უფროსისათვის თ. ნ. ჩოლაყაშვილისათვის დამბაჩა უსროლია, მაგრამ ვერ მოუხვედრებიაო. ამ უეცარმა და დაუჯერებელმა ამბავმა ხალხში უჩვეულებრივო მოძრაობა მოახდინა და ბრალიანი და უბრალო, დიდი და პატარა ერთად მაზრის უფროსის სახლს მიაწყდა სიმართლის გასაგებად. ეს ამბავი ნამდვილი გამოდგა...

მაისის 23 კნ ე. ჯორჯაძისას წაუკითხავს ახლად ფოსტით მოსული მოწერილობა გუბერნატორისაგან მის ქმართან, რომლითაც გუბერნატორი, წინადადებას აძლევდა მომრიგებელ-შუამავალს თ. დ. ჯორჯაძეს: „თუ ამ ერთს კვირაზედ არზას არ მომცემთ დათხოვნისას—მაშინ უამისოდაც დათხოვნილი იქნებით... სამსახურიდგან, რადგანაც თქვენ გბრალდებოდათ ყალბი ფულის გასაღება და თუმცა სასამართლომ გაგამართლათ, მაინც უნდა სამსახურს თავი დაანებოთო“.

ისედაც მგრძნობიარე აგებულებისან და ამ ჟამად „მიზეზიანმა“ ქალმა ვეღარ მოინელა ეს მოულოდნელი უსიამოვნო წერილის შინაარსი, შესცდა ჭკუაზედ და ამ მდგომარეობაში ესროლა დამბაჩა იმას, ვინც, მისის აზრით, იყო მიზეზი მისის ქმრის გაუბედურებისა. ეს მით უფრო ადვილად შესასრულებელი იყო მისთვის, რომ ხელის დამჭერი შინ არავინა ჰყავდა (ქმარი სოფლებში იყო სამსახურის შესასრულებლად).

დავანებოთ თავი ამას და დავაკვირდეთ იმ მიზეზებს, რომელნიც ჰბადავენ მზგავს შემთხვევას: ჩვენი ახლანდელი სამსაჯულოს წეს-წყობილობით გამომძიებლებად ინიშნებიან ახლად იურიდიულ ტაძრიდგან გამოსულნი, სრულიად გამოუცდელნი პირნი და ეძლევათ მათ იმისთანა თანამდებობა, რომელიც დიდსა და დიდს გამჭრიახობასა და გამოცდილებასა თხოულობს.

რა უნდა ჰქნან იმათ, ვისაც თავიანთ საუბედუროდ, ამ გვარ გამომძიებლებთანა აქვთ საქმე? შეიძლება ერთი უბრალო შეცდომა გამომძიებლისა იმათ სიცოცხლედ დაუჯდეთ. ავიღოთ მაგალითად ზემო-ხსენებუ-

---

საქმე ერთს წელიწადს გაგრძელდა; ამ დროს ყირიმის ომი დაიწყო და იმისთანა საქმეებზედ ფიქრისათვის, როგორც საბალახო იყო არავის არა სცალოდა.

1855 წელს ზამთარში, როდესაც სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე თავის დით ნინოთი ქვაშიხორში ცხოვრობდა, ზურიის რაზმის ახლო, მასთან მოვიდა კოსტანტინე დადიშკელიანი თავის ძმით ალექსანდრეთი, რომელიც მაშინ ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკის შტაბს-კაპიტანი იყო. მათი მოსვლის საგანი ისევ საბალახო იყო. მათ არაფერი იცოდენ,—თუ რა ამბავი იყო ქვაშიხორში და ამისათვის მათი მოსვლა სწორედ უდროვო იყო: დედოფალს ეკატერინეს სწორედ ამ დროს გამოერთვა სუჯუნოს საეკლესიო მამულები, რომელნიც უნდოდა მიეთვისებინა. მან იცოდა, რომ ეს მამულები მიხეილ შარვაშიძის გაიძვერულის მოქმედებით ჩამოერთვა. აი ამისთანა დროს ეწვია დედოფალს მიხეილის ახლო ნათესავი კოსტანტინე; დედოფალს ეგონა, რომ იგი მიხეილისაგან იყო გაგზავნილი, რათა გაეგო ყოველისფერი, რაც დედოფლის სახლში ჰხდებოდა; კოსტანტინემ თავის საქმეზედ ჩამოუგდო ლაპარაკი, მაგრამ დედოფალმა მონაწილეობა არ მიიღო ამ ლაპარაკში, რისგამოც ორივე ძმები თითქოს განგებ ჭკადუაში წავიდენ გიორგი დადიანთან, სადაც მიხეილ შარვაშიძეც იმყოფებოდა. მიხეილთან მათი წასვლა დედოფალმა თავის-თავის მასხარად აგდებად ჩასთვალა და ამ დღიდგან კოსტანტინე თავის კეთილის-მყოფთა რიცხვიდამ ამოშალა. იგი ყველგან კვეხულობდა, რომ დადიშკელიანს სამაგიეროს გადაეუხდიო.

ამ ამბავმა კოსტანტინეს დაუძინებელი მტრის ჯამსუყის ყურამდის მიაღწია და მან გაუგზავნა დედოფალს კაცები და სთხოვა ნახვის ნება; როდესაც დედოფალმა ნება დართო, ჯამსუყი თავის ორი შვილი—თენგისით და გელოით მივიდა მასთან.

ამ დროს მე იქ დავესწარი.

ჯამსუყი ორმოც-და-ხუთის წლის კაცი იყო, მაღალი ტანისა, სახე-გაწყობილი და გამომეტყველი თვალები ჰქონდა, ცოტა ქალარაც გამორეოდა; პირველს ნახვაზედ ჯამსუყი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა კაცზედ; მისი შვილები: უფროსი 18 წლისა და უმცროსი—16-სა, სწორედ რომ მეტის-მეტად ლამაზები იყვნენ.

იგი მოვიდა დედოფალთან ჯერ პატივის-საცემლად და მერე როგორც მოციქული და შუამავალი თავისუფალი სვანეთის ერთის საზოგადოებისა, ვგონებ ლატალისა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ხუთი-ექვსი წლის წინად იარმუკობას, რომელიც ლეჩხუმში იცის, რაღაც უბრალო საქმისთვის ჩხუბი მომხდარიყო სოფ. მურის ახლო ამ საზოგადოების მცხოვრებთა და მეგრელების შორის. ეს ჩხუბი ერთი მეგრელის მოკვლით გათავებულიყო, რის შემდეგაც სვანები თავიანთ მიუდგომელს ადგილებში წასულიყვნენ. მთავარმა დავითმა უბრძანა თავის ქვეშევრდომს სვანებს, რომ სამეგრელოში მიმავალი ლატალის მცხოვრებნი ცხენის-წყლის ხეობაში არ გამოეშვათ; ეს სასჯელი ძალიან მძიმე იყო, ლატალის მცხოვრებთ ვეღარ შეეძლოთ თავიანთი ნაწარმოები სამეგრელოს იარმუკაზედ გაეყიდნათ და იქიდამ ის მოეტანათ, რაც მათთვის უფრო საჭირო იყო, სხვათა შორის მარილი. ლატალის მცხოვრებთ არა ერთხელ სთხოვეს მთავარს ეპატიებინა მათთვის დანაშაული, მაგრამ იგი უარზედ იდგა. აი ამ სათხოვრების მოციქულად იყო ჯამსუყი მოსული. რომ დედოფალი უფრო დაეყოლიებინა, მან მოუტანა საჩუქრად იარაღი, უნაგირები, ნაბდები და სხვ.

დედოფალმა ჯამსუხის შუაკაცობა შეიწყნარა და მაშინვე გაიცა ბრძანება ლატალის საზოგადოებისგან გამოგზავნილი კაცები გორდში შემოეშვათ. დედოფალიც ყოვლის ღონის ძიებით ცდილობდა ჯამსუხისათვის ესიამოვნებინა. სტუმრებმა გამართეს ჯირითი, თოფის სროლა, სიმღერა და თამაშობა. თვით ჯამსუხმა გვაჩვენა ჩვენ თავის ხელოვნება ერთს თამაშობაში, რომლისთანაც მე შემდეგ აღარ მინახავს. რამდენიმე ხანჯალი ერთი ერთმანეთის ახლო ისე დაურჭეს დედამიწაში, რომ წვერები ზემოდამ ჰქონდათ; ღამე გაჩაღებული ცეცხლის სინათლეზედ დაიწყეს სიმღერა და დაირის კვრა, ჯამსუხმა დაიწყო თამაშობა ჯერ წყნარ-წყნარა, მერე თან-და-თან უფრო ააჩქარა და ბოლოს ისე გაცხარდა, რომ იმის მაგივრად ჩვენ გვეშინოდა. როგორც ჩიტი ისე დაჰფრინავდა ხანჯლების შორის. ტანის მშვენივრად მოძრაობა, ვაჟკაცური სახის გამომეტყველება, რომელიც თითქოს გვეუბნებოდა, რომ მე ხანჯლებისა არ მეშინიანო, დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზედ და როდესაც მან ისევ თან-და-თან მოუკლო თამაშობას და ბოლოს სრულიადაც გაათავა, ყველამ კმაყოფილება გამოვუცხადეთ.

მხიარულება მასპინძელსა და სტუმარს არ უშლიდა განმარტებით ერთად ლაპარაკს, რის შემდეგაც დედოფალმა ერთხელ გამოუცხადა ჯამსუხს, რომ უნდა გიშვილოვო. ამ ჩვეულებას აქ დიდს პატივსა სცემენ და იმაში მდგომარეობს, რომ ლოცვის შემდეგ შვილად ამყვანს შვილად აყვანილი ჰკოცნის გადახდილს გულზედ და ეს იმის ნიშანია, რომ ამას იქით ისე მოექცევიან ერთმანეთს, როგორც დედაშვილნი. ამის შემდეგ მყარდება სულიერი ნათესაობა, რომელიც სისხლით ნათესაობას უდრის. შვილობილი ნამდვილი შვილის თანასწორია. ამის შემდეგ დედოფალი და ჯამსუხი უფრო გულ-ახდილად ლაპარაკობდენ ერთმანეთში და თავიანთ გულის საიდუმლოებას აღარ მალავდენ, ჯამსუხისთვის მიხეილ შარვაშიძე და დედოფლისთვის კონსტანტინე დადიშკელიანი დაუძინებელი მტრები შეიქნენ.

სამი დღის უკან გორდში მოვიდენ ლატალის საზოგადოებისგან გამოგზავნილი კაცები: იგინი 50 იყვნენ. ყველა იგინი წამოსადეგი ტანისანი იყვნენ და სუფთადაც ეცვათ. მათ დაბლა ხმით ლაპარაკი არ იციოდენ; როდესაც ლაპარაკობდენ, კაცს ეგონებოდა,—ჩხუბობენო. ლატალელებმა ბოყვებით მოიტანეს საჩუქრად წმინდა კოშტი სანთელი, თაფლი და არაყი. მშვიდობიანობა ჩამოვარდა და მათ სადილი გაუმართეს. მეორე დღეს

ლი შემთხვევა, რომელიც არის ღვიძლი შვილი ახლად გამოჩეკილი გამომძიებლის შეცდომისა. შარშან ზაფხულს მომრიგებელი-შუამავლის თ. ჯორჯაძის მოსამსახურემ, ბატონის სახელით დაახურდავა მეაფთიექესთან ერთი თუმნიანი ქაღალდი, რომელიც საეჭვოდ იცნო მეაფთიექემ და გაგზავნა ხაზინაში საჩვენებლად. იქ უთხრეს: თუმნიანზედ არ შეიძლება ითქვას ყალბიაო, მხოლოდ შეიძლება სიძველემ დაუშალოს გასაღებაო. მეაფთიაქემ თ. ჯორჯაძეს უთხრა: თქვენი სახლიდგან ამისთანა საეჭვო თუმნიანი მომიტანესო. უკანასკნელს ეწყინა იმის სახელობით ამისთანა საქმის ჩადენა და დამნაშავე იმავე დღეს დაითხოვა სახლიდგან. ეს ამბავი მაზრის უფროსსაც უამბო. გავიდა ოთხი თვე და უცებ ჯორჯაძეს გამოუცხადეს: მაშინდელი თუმნიანის და ბევრის სხვების გასაღებაში თქვენ ბრალი გედებათო. თურმე ნუ იტყვით, ამ ოთხ თვეში გამოჩენილან იმისთანა პირნი, რომელთაც ჯორჯაძის მომრიგებელ-შუამავლობიდგან გადმობრძანება განუზრახავთ და ეს უბრალო შემთხვევა ხრიკად უხმარიათ. დაიწყო გამოძიება, დაარწმუნეს ახლად გამოჩეკილი,—უთუოდ დიდი ტომრებით იპოენი ყალბ ფულებსაო და პირ-და-პირ ძლევა—შემოსილი, ოლქის სასამართლოში თავს - მჯდომარეობას იშოვენიო.“ დაატარეს გაცვეთილი კაცები სოფლებში. ვინც იტყვით, ჯორჯაძემ ყალბი ფულები მომცა, ესა და ეს კაცი საჩუქარს მოგცემთო. მოწამე ვერ იშოვეს, და ბიჭს უთხრეს შენ იმას დააბრალე, თორემ ციმბირში გაგგზავნიანო. ბიჭმა სთქვა: მე ძიძამ მამცაო და ძიძას, ჭალბად, ჯორჯაძე მისცემდაო. ახლად გამოჩეკილისათვის დიდი საბუთია ამისთანა რამ და არაფრად მიაჩნია ამისთანა ბრალის დადება. იმან არ იცის, რომ ეს ბრალი შეიძლება სიცოცხლეედ ულირდეს რამოდენიმე პირს...

მანამ ეს აქ ამას გამოიძიებდა, მთავრობას სტოლი აუვსეს ქაღალდებით,—მისი ადგილი ჩვენ მოგვეცითო; გამოძიებამ ბევრი შეუფერებელი ტანჯვა და მწუხარება მიაყენა ჯორჯაძეს და მის სახლობასაც. გამოძიება გათავდა; სასამართლომ ჯორჯაძე გაამართლა და მაინც სამსახურიდგან დათხოვნაზედ წინადადება მიეცა.

ასე გაბედვით ცილის დაწამება, რვა თვის მწუხარება და ტანჯვა, რწმუნება, რომ მისი ქმარი უბრალოა, სასამართლოსაგან გამართლება და ბოლოს წერილი სამსახურიდგან დათხოვნაზედ-ყველა ეს კმაროდა რომ სული ქალი ჭკუიდამ შეშლილიყო და მოეხდინა ეს უბედურება... ვისურვოთ,— ჩვენი სამსაჯულოს წესწყობილობა ისე შეცვლილიყოს, რომ ყველას შესაფერი ადგილი ეჭიროს სამსახურში და გამომძიებლობა უფრო საპატიო მოხელეობა გამხდარიყოს, ვიდრე ეხლა არის. თორემ მართლა რომ ამისთანა საქმე ჩასაფიქრებელია და ძნელად გონებაში მოსატრიალებელი...

მეთვალყურე.

# სამართალი

თავადის ი. მუხრან-ბატონის და ვლ. სუმბათიშვილის საქმე.

თავადმა ვ. სუმბათიშვილმა, ოცდა-ოთხის წლისამ, ექვსჯერ ესროლა რევოლვერი თავადს ი. კ. მუხრან-ბატონს, დასჭრა რამდენიმე ადგილს და მხოლოდ რევოლვერის უვარგისობამ უკანასკნელი სიკვდილს გადაარჩინა. ოლქის სამსჯავრომ განიხილა ეს საქმე და გადუწყვიტა ვ. სუმბათიშვილს ოთხის წლით კატორგა. ამ გადაწყვეტილების გამო სამსჯავრო პალატაში გადაიტანეს საჩივარი და პარასკევს, მაისის 31-ს, ხელ-ახლად გაირჩა ეს საქმე.

თავსმჯდომარედ იყო ბ. მიხაილოვი; წევრებად: ბ. ბ. ბაკალო და ბულატნიკოვი; ამტყუნებდა პროკურორი სმიტენი და ბრალდებულის ვექილად ალექსანდროვი. თ-დს მუხრან-ბატონს მოსარჩლე არა ჰყოლია.

სხდომის დაწყების თანავე ბ. ალექსანდროვმა ითხოვა, რომ მოწმებს ხელ-ახლად ეკითხოს; პალატამ-კი საჭიროდ არა სცნო ეს, რადგანაც მისის აზრით, საქმე სრულიად გამორკვეული და გამოაშკარავებული იყო. სამსჯავრომ დაადგინა ამ საქმის შესახებ უარი ეთქვას ბრალდებულის ვექილს და საქმე ისე განიხილონ.

საქმის მომხსენებელმა სამსჯავრო პალატის წევრმა ბ. ბულატნიკოვმა საქმის ვითარება სამსჯავროს დაწვრილებით მოახსენა. აღმოჩნდა, რომ თავადს ი. ბაგრატიონ მუხრან-ბატონს და ბრალდებულის მამას დავა დაეწყოთ; სადავო მამული პირველის მფლობელობაში ყოფილიყო და მამის სიკვდილის შემდეგ ზოგიერთი მამულების დავას შვილებამდინაც მოეღწია. ერთს დღეს სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტი თავადის მუხრან-ბატონისათვის ჩაებარებინათ და მისგან ამ დოკუმენტის მიღება ისე საწყენად სჩვენებოდა ბრალდებულს, რომ მისი სიკვდილიც განეზრახა და მეორე დღეს აღსრულებაშიაც მოიყვანდა, თუ რევოლვერი უვარგისი არ გამოსდგომოდა. მოწმების ჩვენებიდამ აღმოჩნდა, რომ თუმცა ვ. სუმბათიშვილი სრული შეშლილი არ იყო, მაგრამ ხასიათში ბევრი უსწორ-მასწორობა ეტყობოდა; მაგალითებრ: ერთბაშად აღელდებოდა ხოლმე, სანამ ჯავრს არ ამოიყრიდა, რა მოისვენებდა და სხვა. ზოგიერთმა მოწმებმა უჩვენეს, რომ ბრალდებულის დედა შეშლილი იყო. ამის გარდა დედის მხრივ კიდევ რამდენსამე პირს ამ ოჯახისას ესევე სნეულება დასჩემებოდა.

ექსპერტებად მოწვეულს ექიმებს განეხილათ მოწმების ჩვენება, მიექციათ ყურადღება სუმბათიშვილის ცხოვრებისათვის; მათ წარმოეთქვათ ის აზრი, რომ ბრალდებული თ. მუხრან-ბატონის დაჭრის დროს თავ-დავიწყებული მოქმედებდაო; დამნაშავე სულიერად ავადმყოფი არისო და მის მოქმედებაში კარგად-მყოფის კაცის მოაზრება არ მოქმედებდაო.

---

დედოფალს შეჰფიცეს ერთგულებაზედ. ეკლესიაში ჩიბუხებით შევიდენ და ისე ყვიროდენ, როგორც გარედ; ჯვარისა და სახარების კოცნის შემდეგ, ყველა მათგანი თითს პირში იდებდა, მერე ისევ იღებდა, მაღლა სწევდა და უბერავდა. მე მინდოდა გამეგო ამ საკვირველი ჩვეულების მნიშვნელობა და მითხრეს, რომ იგინი ამისთანა მოქმედებით სული წმინდას უწოდებენ თავიანთის ფიცის მოწმადაო.

მეორე დღეს იგინი გორდიდამ წავიდენ დედოფლისაგან დასაჩუქრებულნი; მათ შემდეგ ჯამსუხიც მალე წავიდა თავისი შვილებით და ამალით.

ყოველივე რაც მოხდა გორდში ჯამსუყის იქყოფნის დროს, სათავადო სვანეთში მაშინვე გაიგეს. კონსტანტინე თავის მცირე-წლოვანი შვილით მოსოსტრით და ძმით ალექსანდრეთი იმ დროს თბილისში იყო. იქ მოსოსტრი სასწავლებელში უნდა მიებარებინათ; სვანეთში დარჩა მათი მესამე ძმა ისლამი, რომელიც თავის ქვეყნის მთებს თავის დღეში არ მოშორებოდა. მას ძალიან ეწყინა დედოფლისაგან თავიანთ მტრის ჯამსუყის მიღება უფრო იმისთვის, რომ მან გაბედა გორდიდამ სვანეთში დაბრუნება არა ჩვეულებრივის ლენთეხზედ მიმავალი გზით; არამედ ჯვარსა და ლახმულზე, რომელ გზაზედაც წინად იგი ვერ გაბედავდა გავლას. ისლამმა განიძრახა ჯამსუყის მოკვლა და თავის კაცებით ერთს ადგილას ჩაუსაფრდა; როდესაც ჯამსუყმა გაიარა, ისლამმა თოფი ჰკრა და იქვე მიაწვინა, მეორე ტყვიით მისი უფროსი შვილიც თენგისიც დაიჭრა ხელში, დანარჩენები კი გადარჩნენ.

როდესაც კონსტანტინე და ალექსანდრე თბილისიდამ დაბრუნდენ, საშინელი ალიაქოთი იყო ამტყდარი; ჯამსუყის მომხრენი ფაარს დასცემოდენ და დაეჭირათ; ორივე ძმებმა ძლივ-ძლიობით წაართვეს იგი მტერს. თვითონ ისლამი კი დალში დამალულიყო.

გავიდა რამდენიმე ხანი და იმავე გორდში, სადაც ჯამსუყის თამაშობით ესიამოვნებდით, მოვიდა მისი ცოლი თავის შვილებით და დედოფალს ეკატერინეს შემწეობას და თავის შეფარებას სთხოვდა. იგინი გამოქცეულიყვნენ, რომ კონსტანტინეს სრულიად არ ამოეწყვიტა, თვითონ ჯამსუყის მოკვლას მასვე აბრალებდენ, ისლამმა მისი ბძანება აასრულაო. დედოფალმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო თავის შვილობილის ჯამსუყის დაობლებულ ცოლ-შვილის ბედში, მით უფრო რომ ქვრივმა ძვირფასი საჩუქარი მოართვა: თამარ დედოფლის აშურმა და კვერთხი*). განსაკუთრებით შესანიშნავი იყო თავის ხელოვნებით აშურმა; იგი წმინდა ოქროსი იყო და ზედ გამოხატულნი იყვნენ მაცხოვარი, ღვთის-მშობელი და წმინდანნი. კვერთხსაც ოქრო ჰქონდა გადაკრული, აშურმის ხელოვნებისთანა კი არ იყო. დედოფალმა ჯამსუყის ქვრივი ლეჩხუმის ერთს თავის მამულში დააყენა, ფული და რაც საჭირო იყო მისცა და კავკასის მთავრობის წინაშე ცდილობდა მათს დაკმაყოფილებას და კონსტანტინე დადიშკელიანის დასჯას.

*) ეს ნივთები დადიშკელიანთ გვარეულობაში რამდენსამე საუკუნეს ინახებოდენ და წმინდა ნივთებად ითვლებოდენ.

მაგრამ მაშინ ის დრო არ იყო, რომ მთავრობას ამ საქმეზედ ეფიქრა: მთლად რუსეთს დიდი განსაცდელი მოელოდა. ყველამ იცოდა, რომ ოსმალოს ჯარი შავი ზღვის ნაპირზედ უნდა გამოსულიყო, მხოლოდ ის კი არ იცოდენ, რომელს ადგილს გადმოვიდოდა; უფრო ქობულეთის და აფხაზეთის მხრით მოელოდენ; გურიის მცირე რაზმი ორ ნაწილად იყო გაყოფილი და მტრის შემოსვლას ელოდა, ამისათვის ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, რომ ამ რაზმისათვის რამდენიმე ასი კაცი დაეკლო და სათავადო სვანეთში გაეგზავნა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა თავადმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, რომელიც გურიის რაზმის სარდალი იყო, სვანეთში ბოქაული თავადი მ. გაგზავნა კონსტანტინეს და ალექსანდრეს ქუთაისში გამოსახმობლად. მაგრამ ამით არაფერი გარიგდა; დადიშკელიანებმა არც პრისტავი მიიღეს და არც ქუთაისში წამოვიდენ; თავადმა მუხრანსკიმ კვალად გაგზავნა სვანეთში კაპიტანი დემიანოვიჩი, მაგრამ დადიშკელიანებმა ისიც ისე გამოისტუმრეს, როგორც ბოქაული.

ამ დროს ომარ-ფაშა გადმოვიდა ჯარით აფხაზეთის მხრივ და ომი დაიწყო. ბრძოლის ველად ექვსი თვის განმავლობაში რიონის აქე-მარე იყო, შინაური საქმეებისთვის აღარავის სცალოდა.

ინგურზედ ბრძოლამ, სადაც ომარ-ფაშას 30,000 ჯარი ჰყავდა და ჩვენ კი ათჯერ უფრო ნაკლები, თავადი მუხრანსკი იძულებული გახადა ცხენის წყალისკენ დაეწია და სამეგრელო მტერს შერჩა ხელში.

მთავარი მიხეილ შარვაშიძე, რომელიც აფხაზეთში დარჩა, ორპირულად იქცეოდა. მისგან მოსდიოდა რუსეთის შტაბს სხვა-და-სხვანაირი პროექტები უკანიდამ მტერთან ბრძოლის შესახებ და ჯარს თხოულობდა, მაგრამ იმავე შტაბში ჯაშუშებს მოჰქონდათ ცნობები იმის და ომარ-ფაშის შორის შესახებ. როგორც შტაბის ცნობებიდამ სჩანდა, ორივე ძმებს კონსტანტინე და ალექსანდრე დადიშკელიანებსაც ომარ-ფაშის მხარე ეჭირათ, რადგანაც ოსმალეთის მთავრობას იგინი კარგად მიელო. და ან რა საკვირველი იყო ეს იმ მხარეში, რომელიც მტერს ეჭირა ხელში და ექვსი თვის განმავლობაში ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაეუწიეთ.

1856 წ. მარტის თვეში მორიგება მოხდა; ომარ-ფაშამ სამეგრელო დასცალა და ამას თან მოჰყვა პარიჟის შესანიშნავი ტრაქტატი, რის შემდეგაც იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე დაგვირგვინდა.

იმავე დროს კავკასიაშიაც საყურადღებო ცვლილება მოხდა: მურავიევის მაგივრად, კავკასიის მთავარ-მმართებლად თავადი ა. ი. ბარიათინსკი დაინიშნა და ხმები ისმოდა, რომ სამმართველოში ბევრ ნაირი ცვლილებანი მოხდებიანო.

ყოველივე რაც სვანეთზედ და კონსტანტინე დადიშკელიანზედ ვსთქვით, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ იმის გამო, რომ ამის შემდეგ უფრო ნამდვილად აიხსნებიან ის შემთხვევანი, რომელთაც სამწუხარო შედეგი ჰქონდათ სათავადო სვანეთის მთავრობის და თავადი გაგარინის ბედისათვის.

ოლქის სამჯავრო ამ გვარს შეხედულობას ექსპერტებისას არ სთანხმდებოდა, რადგანაც სუმბათიშვილის მოქმედებიდამ დაინახა რომ სრულს გონებაზედ იყო, როდესაც მოქმედებდა და თავის-თავს ანგარიშს ნათლად აძლევდა; მაგალითად: სუმბათიშვილი წინა-დღით წავიდა იარაღის სასყიდლად, მეორე დღეს სასამართლოში მოსულმა ამოარჩია ისეთი ადგილი, სადაც თავის განზრახვის შესასრულებლად ხელს უფრო ვერავინ შეუშლიდა, ე. ი. მან აირჩია სამჯავროს ბნელი კორიდორი. ამის გარეშე, რომ ბრალდებულს ბაგრატიონ მუხრან-ბატონის მოკვლა ნამდვილად უნდოდა, მტკიცდება იმითაც, რომ ერთისა და ორის სროლით არ დაკმაყოფილდა, არამედ ექვსჯერ ესროლა.

ამ მოაზრების გამო ოლქის სამსჯავრომ ბრალდებული დამნაშავედ სცნო და ოთხის წლით კატორგა გადუწყვიტა.

განაჩენის წაკითხვის შემდეგ, სამსჯავრო პალატის პროკურორმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ის სრულიად არა სთანხმდებოდა ამ დადგინებას და ამბობდა, რომ სუმბათიშვილი ანგარიშ-მიუცემლად მოქმედებდაო; მასთანვე ბრალდებულის სასარგებლოდ ამტკიცებდა, რომ სუმბათიშვილისათვის ვითომც ისეთი შეურაცხყოფა მიეყენებინა მუხრან-ბატონს, რომ ბრალდებულის მოქმედება არ შეიძლება გონების არევის შედეგი არ იყოსო. მასთანვე პროკურორმა წარმოსთქვა რომ რადგან ბრალდებული თავ-დავიწყებით მოქმედებდა ამისათვის სრულიად შემსუბუქებულს განჩინებას ვითხოვო.

ბრალდებულის მხრივ ამ გვარის სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, დაიწყო ბრალდებულის ვექილმა, რომელიც კარგა ხანს ლაპარაკობდა და ამტკიცებდა სუმბათიშვილი სრულს თავ-დავიწყებაში იყო როდესაც ისროდაო. წაიკითხა რამდენიმე ადგილები სხვა-და-სხვა წიგნებიდგან ჭკუიდან შეშლის საშვილის-შვილოდ გადასვლის შესახებ და მაშასადამე ბრალდებულსაც ამ სენისთვის უეჭველი ნიადაგი უნდა ჰქონდესო; წაიკითხა რამდენიმე მეცნიერისგან მოყვანილი მაგალითი, მოაგონა დოსტოევსკის რომანი და აზრი რომელიც იქ არის გაყვანილი შესახებ სულიერად ავადმყოფებისა; მოიყვანა მაგალითად პოლიციელი, რომელიც ხიდზედა სდგას და ნაბძანები აქვს ხიდზედ არავინ გაუშვას; ბოლოს შეიძლება ხალხი ერთბაშდ მიაწყდეს და თითონ პოლიციელიც თან გაიტანოსო. განა შეიძლება ეს დანაშაულად ჩავუთვალოთო?.. ამ პოლიციელის მდგომარეობას შეადარა ბრალდებულის მდგომარეობაც, რომელსაც თავისი ძალა აღარა ჰქონდაო და მოქმედებდა ათასის შემთხვევის გამოო და ბოლოს ვექილმა გამოაცხადა იმედი, „რომ სამსჯავრო პალატა ბრალდებულს სრულიად გაამართლებდა.

სამსჯავრო პალატამ სუმბათიშვილი სცნო დამნაშავედ: მას ჰქონდა განზრახვა მოეკლა მუხრან-ბატონი, მხოლოდ მოქმედებდა ჭკუის-შერყევის დროს, და ამისთვის დამნაშავე ვლ. სუმბათიშვილი ჩააბარა ნათესაობას მოსავლელად.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 31-ს.

**პეტერბურგი.** გუბერნატორები აცნობებენ მთავრობას, რომ საზოგადოდ ყველა მხარეს მოსავალს კაი პირი აქვსო. მართალია, გაზაფხულის სიცივეებმა წაახდინეს ჯეჯილება ზოგიერთ მხარეს, მაგრამ ეხლა კაი ამინდების გამო ყველგან მოიხედა ჭირნახულმაო. მავნე მწერი თითქმის არსად არ გაჩენილა ჯერა; მხოლოდ ყაზანის, ტამბოვის და ხერსონის გუბერნიის ზოგიერთა მაზრებში გაჩნდა თაგვი და მარტო ხერსონის გარეშემო გამოჩნდა კალიაც. ადმინისტრაციამ მიიღო ზომები ამათ მოსასპობად.

**ლონდონი.** გუშინდელი ხმები სამინისტროს კრიზისზედ ხელს უწყობენ გლადსტონს. ამბობენ რომ რადგანაც კონსერვატორების სამინისტრ ს შედგენა გაუძნელდათო, ამისათვის გლადსტონი მზად არის უარჰყოს თავისი თხოვნა შესახებ სამსახურიდამ გასვლისა. ამასთანავე ამბობენ, რომ დედოფალი დაბრუნდება ვინძორში მხოლოდ ივნისის 8-ს შემდეგ.

**ლონდონი.** დედოფალმა შეიწყნარა გლადსტონის თხოვნა შესახებ სამსახურიდამ გასვლისა და მიანდო ლორდ სალისბიურის ახალი კაბინეტის შედგენა.

ივნისის 1.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მესამე წაკითხვაზედ მიიღო კანონი ამომრჩეველ ოლქთა განაწილების შესახებ ზოგიერთის ცვლილების მოხდენით, რომელზედაც საზოგადოებათა პალატას ექნება სჯა ორშაბათს. ორივე პალატის სხდომა ორშაბათამდის გადაიდო.

**ფილიპოპოლი.** ის ხმა ვითომც აღმოსავლეთის რუმელიაში შეკრებილიყვნენ დაიარაღებული რაზმები მაკედონიაში შესასევად, უსაფუძვლო გამოდგა. აღმოსავლეთ-რუმელიის მთავრობამ გადასწყვიტა ამას იარაღით გაუწიოს წინააღმდეგობა.

**ბირჟა**

პეტერბურგი მაისის 31.

| | | |
|---|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე | — — | $24^1/_3$, $24^1/_2$ $24^3/_8$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე | — | —$207^1/_2$ $208^1/_4$ $207^1/_4$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე | — | —$256^3/_4$ $257^1/_4$ $256^8/_4$ |
| პოლუიმპერიალები | — | 8 მ. 12 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — | 8 მ. 11 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — | 1 მ. 28 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— | — | 6 და $6^3/_4$% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა | — — — | 98 მ. 87 კ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — | 97 მ. 87 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — | . . . . . |
| მეოთხე გამოც. | — — | $97^1/_4$ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. | — — | $97^3/_4$ მ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. | — — | 95 მ. 12 კ. გაყ. |
| მეორე გამოც. | — — | $94^3/_4$ მ. გაყ. |
| მესამე გამოც. | — — | 95 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — | $222^1/_2$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა | — | $209^1/_4$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა | — — | 170 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— | — — | 27 წ. 89 მ. გამყ. |
| | | 43 წ. $88^3/_4$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | | 43 წ. 90 მ. გამყ. |

# ცნობანი

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თიბათვიდამ 15 თიბათვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |

**მროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 9 კ. |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | |
| მეორისა — | —1 — | გ. | |

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**

8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**

10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**

10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**

8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**

8 საათზედ 24 წამ. დილით


# განცხადებანი

## ევროპის ბაღში



სამშაბათს, ივნისის 4-ს 1885წ.

პირველ დიდს

**ხელოვნურ-ოპტიკურს წარმოდგენას**

გამართავს გამოჩენილი ფიზიკოსი ვ. დერინგი

მოძრავ უდიდესს დაბუნდულს სურათებს უჩვენებს

**სიდიდით 15 არშინიანებს.**

დასაწყისი კონცერტისა: 7-ს საათზედ; წარმოდგენისა 9 საათზედ.

იმ დღეს, როდესაც ჩემი წარმოდგენები გაიმართება ევროპის ბაღში მასკარადის ბალები არ იქნება.

ვისაც ჩემი აპარატების ნახვის სურვილი აქვთ — უფასოდ შეუძლიანთ ნახონ.

დაწვრილებითი ცნობანი აფიშაში იქნება; ივნისის 7-ს მეორე წარმოდგენა იქნება. (2—2)

ნაფიცი ვექილი

# ა. მ. ჭყონია

გადავიდა სადგომად ბაზრის ქუჩაში, თამამშევის სახლში № 11, სადგური № 13. (5—2)

ცნობილი თავის თვისებით განარიდოს სხეულის ნაწილებს ოფლი, განსაკუთრებით ფეხის თითებს.

# გალმანინი

იყიდება აფთიაქებში, აგრეთვე ევროპის დიდი სახემწიფოს ყველა ქალაქების მეწვრიმალეებთან. **უმთავრესი დეპო** იმყოფება ვარშავაში თვით გამომგონელს, აფთიაქის მქონე ფარმაციის მაგისტრს გ. კარპინსკისთან, ელექტორალის ქუჩაზედ, № 350. დიდი კოლოფი **გალმანინისა** ღირს ვარშ-ვაში 50 კაპ., პატარა 30 კაპ.

**ერიდეთ სიყალბით გაკეთებულს**

და მოითხოვეთ, რომ ყველა კოლოფთან დარიგების ფურცელი იყოს, თუ როგორ იხმარება და პარიჟის გამოფენის მედალი.

ვ. კარპინსკი, ფარმაციის მაგისტრი.

(10—8)


Доз. ценз. Тифлисъ, 1 Іюня 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.